staff of the Parliament of Georgia
Digitally signed by staff of the Parliament of Georgia
Date: 2022.02.03 15:17:03 +04'00'

ხელშეკრულება № 22-3/02/1
შენობის განახლებისათვის მცირე სარემონტო სამუშაოების
აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერით (NAT210023733)
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CPV 45453100)

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა ქ. თბილისში, 2022 წლის 3 თებერვალს
და ძალაშია 2022 წლის 3 თებერვლიდან - 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ერთის მხრივ, **„საქართველოს პარლამენტის აპარატი“** (მის.: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8, სახელმწიფო ხაზინა, ანგ. №200122900, საიდენტიფიკაციო კოდი: 202058245) (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის **ქეთევან კვინიკაძის** სახით, ხოლო მეორეს მხრივ, **შპს „ლემი“** (მის.: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ., N 47-49/8, ბ. 17, ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE58BG0000000345960354 (GEL), ტელ.: +995599198019, საიდენტიფიკაციო კოდი: 406273429) (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან ცქვიტინიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის პირველი პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში**, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომ – ხელშეკრულება)“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე, კვირა, თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ხელშეკრულების საგანია „საქართველოს პარლამენტის აპარატი“-ს მიერ შენობის განახლებისათვის მცირე სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულებაზე თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დანართი N1 – „სარემონტო სამუშაოები - ხარჯთაღრიცხვა“) შესაბამისად (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი).**

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **69,998.29 (სამოცდაცხრაათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი ლარი და 29 თეთრი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული **შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი ასახულია ხელშეკრულების დანართის N1 – „სარემონტო სამუშაოები- ხარჯთაღრიცხვა“ შესაბამის ცხრილში.**

3.3. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტში მითითებული მიწოდების საბოლოო ვადის გასვლის შემდგომ, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/ანგარიშ-ფაქტურების (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში) შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური სავარაუდო ღირებულებისა. შესაბამისად, ხელშეკრულების ჯამური საბოლოო ღირებულების განსაზღვრა აღარ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმებას.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს, ასევე საფასურისა და მოსაკრებლის ღირებულებას ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა

4.1. **სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან და მისი ძალაში შესვლიდან**

2022 წლის 20 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის საჭიროების, მოთხოვნისა და ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად დეფექტურ აქტ(ებ)ში მითითებული კონკრეტული ვადების დაცვით.

4.2. მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 8, პარლამენტის სასახლე.**

4.3. მიმწოდებელის მიერ ყოველ კონკრეტულ ჯერზე სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წინასწარ, წერილობით შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე. დეფექტურ აქტში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და სამუშაოების შესრულების კონკრეტული ვადები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამუშაოების ტექნოლოგიური პროცესებით გათვალისწინებულ ვადებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

5.1.1. სამუშაოები შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის სარემონტო სამუშაოები - ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად;

5.1.2. სამუშაოების განხორციელებისას გამოიყენოს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მასალები, მათი ფერი, ფორმა და ხარისხი, ასევე მოწყობილობები და დანადგარები მიმწოდებელმა წინასწარ უნდა შეუთანხმოს შემსყიდველს. ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში ევროპაში აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი სერთიფიკატი გამოყენებულ მასალებზე და მოწყობილობებზე;

5.1.3. უზრუნველყოს სარემონტო ადგილზე საჭიროების შემთხვევაში დამცავი გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება. სარემონტო ადგილზე დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები; სამუშაოების პროცესში შემსრულებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;

5.1.4. სამუშაოები შეასრულოს იმგვარად, რომ არ შეფერხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირება;

5.1.5. განახორციელოს სამუშაოს შესრულება ტექნიკური დავალებით დადგენილი პირობებისა და წესების, ასევე მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით;

5.1.6. სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე გადაამოწმოს ადგილზე არსებული მდგომარეობა და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

5.1.7. სამუშაოს მასშტაბის შესაბამისად, სამუშაოს შესრულება უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით;

5.1.8. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო და სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა;

5.1.9. უზრუნველყოს, რომ სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;

5.1.10. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულების პროცესში ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირის მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

5.1.11. აიღოს სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, მომსახურების გაწევის პროცესში, მიმწოდებლის მიზეზით (მ/შ გაუფრთხილებლობით), შემსყიდველისთვის ან/და მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება საკუთარი ხარჯით;

5.1.12. აუცილებლობის/საჭიროების შემთხვევაში, დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს სარემონტო ტერიტორიაზე არსებული ინვენტარის გადაადგილება ან/და შეფუთვა, ხოლო რემონტის დასრულების შემდგომ საწყის მდებარეობის ადგილზე დაბრუნება. მიმწოდებელი სრულად აგებს პასუხს მათი დაზიანების შემთხვევაში;

5.1.13. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

5.1.14. სამუშაოების განხორციელების გეგმა-გრაფიკი სამუშაოების ჩატარების დაწყებამდე წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველს, საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

5.1.15. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1.ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

5.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე (ასევე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში), განახორციელებენ შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კონტროლის განმახორციელებელი პირები, კერძოდ: სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, საინჟინრო უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი თეიმურაზ ცანავა ან/და ამავე დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი გრიგოლ მეგრელიშვილი (ერთობლივად ან ცალ-ცალკე);

კონტროლის განმახორციელებელი პირების ხელმოწერები: _____ _____.

6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

6.2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.2.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებ(ებ)ზე ზედამხედველობის განხორციელება.

6.3. კონტროლის განხორციელების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება პერიოდულად, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.

7.3. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ს (ერთობლივად ან ცალ-ცალკე).

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება პერიოდულად, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (კერძოდ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში) და სასაქონლო ზედნადები (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში) ანდა გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის (საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერის ვალდებულება არ წარმოიშობა) და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან/გაფორმებიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული აქვს პირგასამტეხლოს თანხა ან ფიქსირდება ურთიერთ შეუსაბამობა საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან - ანგარიშსწორება ხორციელდება ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება პირგასამტეხლოს სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საანგარიშსწორებო დოკუმენტაციასთან ერთად ან წარმოდგენილი იქნება კორექტირებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ხაზინაში რეგისტრირებული ვალდებულების ფარგლებში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.1. და 11.2 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ **სრულ/არასრულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.**

იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს **ხელშეკრულების ღირებულების 5%,** მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს

ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელს გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. და 9.3. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, **ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.**

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახის არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს **ხელშეკრულების ღირებულების 1%,** მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო **შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.**

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **20%-ის ოდენობით.**

9.5. შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო **ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის** ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვადის დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფო ხაზინის ან მიმწოდებლის ბანკის ბრალეულობით.

9.6. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლო გადახდილი უნდა იქნეს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. პირგასამტეხლოს (დავალიანების) არასრულად გადახდის შემთხვევაში მიმწოდებელს საგადახდო დავალების თარიღის დღიდან კვლავ ეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული თითოეული სანქციის მიხედვით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება დავალიანების სრულად დაფარვამდე, რომლის ოდენობასაც მიმწოდებელი თავად ანგარიშობს გადახდის დღის ჩათვლით.

9.7. მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს.

9.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად (გარდა ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3. პუნქტისა).

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც თუკი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დადგომამდე გონივრულ ვადაში შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მიმწოდებელს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარულ დღეში, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამასთანავე, მიმწოდებელს ეკისრება 9.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. გარანტია

11.1. მიმწოდებლის მიერ შესრულებულ ყველა სხვა სახის სარემონტო სამუშაოსა და გამოყენებულ მასალებზე საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან 6 (ექვსი) თვეს.

11.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის პირობების დაცვის პირობებში, დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოვლენილი დეფექტი გამოასწოროს შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, თავისი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.
11.3. მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი, დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, წარმოადგენს ორიგინალს.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს საგარანტიო მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების მე-11 მუხლით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, ხოლო დანარჩენ ნაწილში - ხელშეკრულების თავში მითითებული ვადების მიხედვით.

„შემსყიდველი“

საქართველოს პარლამენტის
აპარატის უფროსი _____ ქეთევან კვინიკაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ლემი“-ს დირექტორი _____ ლევან ცქვიტინიძე

დანართი №1 - სარემონტო სამუშაოები - ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	საზ. ერთ.	რაოდ. (არაუმეტეს)	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	სამღებრო სამუშაოები (გაწმენდა-ქაღალდის აცლა, დამუშავება ფითხით, დაზუმფარება, სახიანი წელვადი დუბლიაჟის გაკვრა, ორი პირი წყალემულსიის საღებავით შეღებვა) მასალების მოწოდებით	მ²	200	25.00	5000.00
2	სამღებრო სამუშაოები (ორი პირი წყალემულსიის საღებავით შეღებვა არსებულ დუბლიაჟზე) მასალების მოწოდებით.	მ²	200	17.00	3400.00
3	ჭერის სამღებრო სამუშაოები (დამუშავება ფითხით, დაზუმფარება, ორი პირი წყალემულსიის საღებავით შეღებვა) მასალების მოწოდებით	მ²	200	17.00	3400.00
4	სამშენებლო ობიექტის დასუფთავება (სამშენებლო ნაგვის გატანით)	ტ	3	28.05	84.15
5	კედლის შელესვა (გაჯით) მასალების მოწოდებით	მ²	40	9.00	360.00
6	კედლის შელესვა ქვიშა-ცემენტით მასალების მოწოდებით	მ²	40	9.00	360.00
7	ჭერის შელესვა (გაჯით) მასალების მოწოდებით	მ²	50	8.00	400.00
8	სამღებრო სამუშაოები ზეთოვანი საღებავით (მასალების მოწოდებით)	მ²	20	10.00	200.00
9	იატაკებზე არსებული მოჭიმვის მცირე შეკეთება ქვიშა-ცემენტის ხსნარით. (მასალების მოწოდებით)	მ²	30	8.50	255.00
10	იატაკებზე მოჭიმვის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარით. (მასალების მოწოდებით)	მ²	50	9.00	450.00
11	წიფელის მასალის პარკეტის იატაკის (ზომებით 30-300, 50-300, 50-400, 70-500, 70-300, 45-500, 75-400 მმ.) მოწყობა, მოხვეწა, 3 პირი ლაქის წასმა (არსებულის დემონტაჟით) მასალების მოწოდებით	მ²	60	84.00	5040.00
12	მუხის მასალის პარკეტის იატაკის (ზომებით 55-350, 55-400, 65-450, 30-400, 50-480, 60-500 მმ.) მოწყობა, მოხვეწა, 3 პირი ლაქის წასმა (არსებულის დემონტაჟით) მასალების მოწოდებით	მ²	60	119.00	7140.00
13	არსებული პარკეტის იატაკის მცირე რემონტი, მოწყობა, მოხვეწა, 3 პირი ლაქის წასმა (დაზიანებულის დემონტაჟით) მასალების მოწოდებით	მ²	200	34.02	6804.00
14	ლამინირებული ფილებისგან დამზადებული კორობების აღდგენა (არსებულის იდენტური) დამხმარე მასალებით	მ²	40	68.00	2720.00
15	პარლამენტის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე არამყარი ბუნებრივი გრანიტის ფილების ჩამაგრება,	მ²	40	28.00	1120.00
16	პარლამენტის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული ბუნებრივი გრანიტის ფილების შეცვლა, მასალების მოწოდებით	მ²	50	118.00	5900.00
17	პარლამენტის შენობის ფასადისთვის არამყარი ტუფისა და ეკლარის ქვის გამაგრება.	მ²	20	70.00	1400.00
18	პარლამენტის შენობის ფასადისთვის დაზიანებული ტუფისა და ეკლარის ქვის აღდგენა (ფერი არსებულის იდენტური) მასალების მოწოდებით	მ²	10	130.00	1300.00
19	პარლამენტის შენობის სველ წერტილებში დაზიანებული კაფელ-მეტლახის აღდგენა (ფერი არსებულის იდენტური) მასალების მოწოდებით	მ²	30	40.00	1200.00

20	პარლამენტის შენობაში დერეფნებში დაზიანებული მეტლახის ფილების(ფერი არსებულის იდენტური) აღდგენა. მასალების მოწოდებით.	მ²	20	45.00	900.00
21	პარლამენტის შენობაში ხელოვნური მარმარილოს კიბის თეთრი ფილები. მასალების მოწოდებით.	მ²	25	84.00	2100.00
22	პარლამენტის გარე ტერიტორიაზე დეკორატიული ლითონის ბოძების ძირში არსებული დეკორაკიული ბუნებრივი გრანიტის ფილის ჩამაგრება, მასალების მოწოდებით	ცალი	40	10.00	400.00
				ჯამი:	49933.15
			ზედნადები ხარჯები	10%	4993.32
				ჯამი:	54926.47
			მოგება	8%	4394.12
				ჯამი:	59320.58
			დღგ	18%	10677.70
				სულ:	69998.29

„შემსყიდველი“

საქართველოს პარლამენტის
აპარატის უფროსი

ქეთევან კვინიკაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ლემი“-ს დირექტორი

ლევან ცქვიტინიძე

Levan Tskvitinidze 01011036278

Digitally signed by Levan Tskvitinidze
Date: 2022.02.03 14:43:52